თქვენს შორის საუკეთესო ის არის, ვინც სწავლობს ყურანს და ასწავლის სხვას

გადმოცემულია უსმანისგან (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი), რომ მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «თქვენს შორის საუკეთესო ის არის, ვინც სწავლობს ყურანს და ასწავლის სხვას».
[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

შუამავალი (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) გვამცნობს, რომ მუსლიმთა შორის საუკეთესო და მათ შორის ყველაზე მაღალ საფეხურზე მყოფი ალლაჰის წინაშე არის ის, ვინც ისწავლა ყურანი კითხვით, ზეპირად, თაჯვიდით, მასში გადმოცემულზე ფიქრებით და განმარტებით. შემდეგ სხვასაც ასწავლის იმას, რასაც ის ფლობს ყურანის ირგვლივ, ასევე მოჰყავს ის პრაქტიკაში და ცხოვრობს ყურანის ცოდნით.

https://sunnah.global/hadeeth/ka/show/5913

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY
لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee